საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №322

18 ივლისი 2016 წელი, თბილისი, საქართველო

2016 წლის 18 ივლისს 11:00 სთ-ზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ კორპუსში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: გრიგოლ გოგელია, ირაკლი პაპავა, მარინა მუსხელიშვილი, ირინა ფუტკარაძე, სულხან სალაძე და გიორგი კოხრეიძე. სხდომას არ ესწრებოდანენ გიორგი ნიჟარაძე და ქეთევან მსხილაძე. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო გაემართა სხდომა.

1. **მოქალაქე გიორგი იასაშვილის მიერ 2016 წლის 20 ივნისს და 2016 წლის 11 ივლისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს სახელზე წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა;**

2. **მიმდინარე საკითხები;**

პირველი საკითხი

2016 წლის 20 ივნისს და 2016 წლის 11 ივლისს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს (შემდგომში - "სამეურვეო საბჭო") ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა მოქალაქე გიორგი იასაშვილმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდა 2016 წლის 18 ივლისს. სხდომაზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოწვეული იყო და სხდომას ესწრებოდა გიორგი იასაშვილიც, რომელმაც გამოთქვა მოსაზრებები და გააკეთა შესაბამისი განმარტებები ადმინისტრაციული საჩივრების მოთხოვნებთან დაკავშირებით. სხდომას ესწრებოდა ასევე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

სამეურვეო საბჭომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში მოისმინა სხდომაზე დამსწრე პირთა ახსნა-განმარტებები და შეამოწმა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, რომლის საფუძველზეც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. იასაშვილის ადმინისტრაციული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი :„უარი ეთქვას მოქ. გიორგი იასაშვილს 20.06.2016წ. და 11.07.2016წ. ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე". კენჭისყრის შედეგად საბჭომ ერთხმად მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას უარი ეთქვას მოქ. გიორგი იასაშვილს 20.06.2016წ. და 11.07.2016წ. ადმინისტრაციული საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაეგზავნება ზემოთ აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივრების წარმომდგენს.

მიმდინარე საკითხები

მიმდინარე საკითხებში საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა სამეურვეო საბჭოს და მაუწყებლის მენეჯმენტის ბოლო სამუშაო შეხვედრის შესახებ, რომელზეც განხილული იქნა მაუწყებლის დაკვეთით ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს სერიოზული ტექნიკური პრობლემა გავრცელებასთან დაკავშირებით ბოლო სამუშაო შეხვედრას არ ესწრებოდა მაუწყებლის გენერალური დირექტორი და დღევანდელი სხდომის მიმდინარე საკითხებში გიორგი ბართაშვილი წარმოადგენს ინფორმაციას ზემოთ აღნიშნული პრობლემის შესახებ.

გენერალური დირექტორისგან მოკლე ინფორმაციის მოსმენის შემდგომ საკითხზე მსჯელობა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, რის შემდეგაც საბჭოს წევრები შეთანხმდნენ შემდეგზე:„დაევალოს მაუწყებლის გენერალურ დირექტორს 2016 წლის 25 ივლისს სამეურვეო საბჭოს და მენეჯმენტის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრაზე წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია მაუწყებლობის გავრეცელების პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, კერძოდ: რა უნდა შეიცვალოს, როგორ უნდა გამოსწორდეს, ასევე საჭიროებს თუ არა საკითხის მოგვარება ფინანსურ რესურს და თუ საჭიროებს, რამდენია ეს თანხა, არის თუ არა ისეთი სახის პრობლემა, რაშიც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს შეუძლია დახმარების გაწევა“.

შემდგომ, გრიგოლ გოგელიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა, საბჭოს შემდეგი სხდომის თარიღი, დრო და დღის წესრიგი საბჭოს წევრებს დამატებით ეცნობებათ. 2016 წლის 18 ივლისის საბჭოს სხდომის სრული ვიდეო ჩანაწერი განთავსდება მაუწყებლის ვებ-გვერდზე: www.gpb.ge

საბჭოს თავმჯდომარე		გრიგოლ გოგელია
სხდომის მდივანი	ი.ზაქარიაშვილი	ირინე ზაქარიაშვილი